**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

ერთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა საბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აჭპალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 — სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1892


გაზეთი „**ივერია**“ თებერვლის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 9 მან. 50 კაპ.

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა

ამით აუწყებს ამ საზოგადოების წევრთა, რომ ამ წლის 22 მარტს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საზოგადოების კრება ფოთის ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამ კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს:

ა) 1891 წლის ანგარიში.

ბ) ამოირჩიოს: ერთი ახალი დირექტორი სამის წლის ვადით,

3) საბჭოს ორი დეპუტატი და

4) სარევიზიო კომისიის სამი წევრი და სამიც ამათივე კანდიდატი.

5) დამტკიცება 1892 წლის ხარჯთ აღრიცხვისა.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს იმ წევრთ, რომელთაც სხვისაგანა აქვთ ნარწმუნები კენჭი, § 36 ძალით რწმუნების წერილები სამის დღის წინად წარუდგინონ მმართველობას ე. ი. არა უგვიანეს ამ წლის 19 მარტისა. (3—3)

ბ-ნთ წევრთ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისას სთხოვენ შეიტანონ თავიანთი მორიგი საწევრო ფული. (2—2)

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყეთ, ქართულის დრამატიულის დასის რამდენსამე არტისტს განუზრახავს ამ სადიდ-მარხვოდ მიიარ-მოიარონ საქართველოს პაწია ქალაქები და საღამოები გამართონ. უმთავრესად არტისტები ჯერ გორში შეივლიან და შემდეგ ქუთაისსა, ფოთსა და ბათუმში.

*** ქუთაისის სამეურნეო სკოლის საქმე, როგორც გუშინაც გვქონდა მოხსენებული, უკვე გადაწყვეტილია მთავრობის მიერ. სკოლა ყოველ წელს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსაგან მიიღებს შემწეობას 3500 მან. და აშენდება იმ ადგილას, სადაც ახლა ფერმა არის. როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ამ ადგილზე უწინ უნდოდათ დაეარსებინათ შუაგული სადგური ამერიკულის ვაზის გაშენებისა. ამ ჟამად, როგორც შევიტყეთ, მოსულა ბრძანება პეტერბურგიდგან, რომ სხვა ადგილი ამოარჩიონ ქუთაისში ამ სადგურის დასაარსებლად. რწმუნებული სახელმწიფო ქონებათა მინისტრისა უკვე შესდგომია ამ საქმეს.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოება ამზადებს ხალხში გასავრცელებლად წიგნს ოთხს ენაზე (რუსულსა, ქართულსა, სომხურსა დ თათრულზე) შესახებ ფილოქსერისა, მილდიუისა და ნაცრისა. წიგნი დასურათებული იქნება და კავკასიის საფილოქსერო კომიტეტი შემწეობას მისცემს წიგნის დაბეჭდვის საქმეში.

*** მარტის პირველიდგან დაიწყებს მოქმედებას შორაპნისა და ქუთაისისა მაზრებში ქუთაისის პირველი საფილოქსერო დასი.

*** წლიური კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა დანიშნულია ამ თვის 26. 24 თებერვალსკი იქნება მორიგი კრება, რომელზედაც დასახელებულები იქნებიან საზოგადოების საბჭოს წევრობის კანდიდატები.

*** დღეს, 22 თებერვალს „ტფილისის კრუჟოკში“ მათემატიკის კანდიდატი ვ. ი. ვილკომირსკი წაიკითხავს ლექციას: „შეიძლება თუ არა იზოგინოს მცენარეობამ და ცხოველებმა ცის მნათობებზე“. ლექცია დაიწყება საღამოს 8 საათზედ.

*** ცხინვალი: ჩვენს ცხინვალის ხეობას, დ მეტადრე თვით ცხნვალს, ეს ორი წელიწადია, რიგიანი ღვინის მოსავალი მოგვდის, მაგრამ გასავალი-კი ძიელ ნაკლებადა აქვს, რადგან ბევრგან სხვაგანაც ღვინის მოსაყალი დიდძალი იყო. ამის გამო ძველი ღვინოებიც საკმაოდა გვაქვს დარჩენილი ქვევრებში და შევსცქერით, ნეტა არ იქნება გაგვიჩნდეს ვინმე და გაგვისაღოსო, მაგრამ სად არის. ამ მოკლე ხანში, ჩვენდა სასიამოვნოდ, ერთი უცხო ტომის კაცი საიდგანღაც გვესტუმრა და აქაურს ვაჭარს დაესიძა; როგორც ეტყობა, ეს კაცი სხვა-დასხვა ქვეყნებშია ნამყოფი და სწავლაც მიღებული აქვს საზღვარ-გარედ. ამ კაცმა დაინახა თუ არა ჩვენი ყოფა, აღგვითქვა და კიდეც მიჰყო ხელი ჩვენის ღვინოების გატანას აქეთ იქით და საზღვარ გარედაც. ამ მოკლე ხანში დიდ-ძალი ღვინოები გაისტუმრა ბოჩკებით ვარშავაში და სხვაგან. ამის გამო ჩვენს პატარა საზოგადოებაში დატრიალდა ცოტაოდენი ფული და ხალხმა ხელი მოინაცვლა. ღმერთმა ჰქნა ზემოხსენებულმა კაცმა თავი გაიტანოს და ჩვენს მოსავალს გზა მისცეს.

*** იქიდამვე: სასიამოვნო ამბავი ჩვენსკენ კიდევ ის არის, რომ ქურდებისა და ავაზაკებისა აღარა ისმისრა. საკმაოდ აღაგმულნი ბრძანდებიან ახლა საეჭვო ყოფა-ქცევის ვაჟბატონები. ყველგან ანუსხულ იქმნენ ისინი, ვიზედაც ხალხმა გამოაცხადა, რომ საეჭვო კაციაო. ასეთი საეჭვო კაცნი ჩაჰბარდა ამორჩეულს კაცებს სოფლისას და იმათ უნდა უგდონ ყური, ვინ მათგანი სად წავა, სად გაატარებს დღეს და სხვ. თუმცა კიდევ კანტი-კუნტად ჩდებიან ავის ზნის კაცნი, მაგრამ იმათაც მალე ელებათ ბოლო, ისე რომ ამ ხანად ჩვენსკენ მათ მოსასპობლად ინიშნებიან ხევის თავები. ჩვენს დაბაში გზები და ქუჩებიც სისწორესა და სუსუფთავეში მოდის; დიდი ლიახვის ხიდიც მალე იქნება, მაგრამ, ცოტა არ არის, დაზარალებელის მასალით ასრულებენ და ეს გულის სატკენს საგნად მიგვაჩნია. ზედა-მხედავები-კი გვპირდებიან, არა უშავს-რაო.

*** ახალციხე: აქაური მომრიგებელი შუა-კაცი ვეღარ ასდის ოქმების შედგენას. საქმე იმაშია, რომ მაჰმადიანი-ქართველები, თითქოს ბუზანკალი შეუჩნდათ, ან უცბად შეიძულეს, მოსისხლე მტერივით, თავიანთი სამშობლო ქვეყანაო, გაფაციცებით მიეშურებიან სანატრელს ოსმალეთში, თითქოს ამ სახელმწიფოში ღმერთი ქადა-ნაზუქსა ჰყრიდეს ზეციდამ და ახალციხის მაზრის ქართველ-მაჰმადიანების მეტი სხვა აღარავინ აკლდესო. აქაურს გლეხებს, ანუ როგორც მთავრობა უწოდებს, მეკომურებს (поселяне) ნადელები აქვთ მიცემული, რომლისათვისაც მამულის პატრონს აძლევენ მეათედს შემოსავლისას, ეგრედ წოდებულს ბარას. სანამ მეკომური ნადელს სხვას არ გადასცემს, სოფელი ბილეთს არ მისცემს და აი ამ ნადელის გადაცემის ოქმების შედგენას უნდება მომრიგებელი შუაკაციც. ღვთისნიერი ქართველები ეჩიჩინებიან გადასახლების მოსურნეთ, ნუ ჰლუპავთ ცოლ-შვილს, ნუ მიდიხართ აქედან, თორემ ბოლოს ინანებთ და გვიან-ღა იქნებაო, მაგრამ ვეღარა შეასმინეს-რა, სულ ერთსა და იმავეს გაიძახიან: ეხლა გვიან-ღაა დარიგება, ხმა გაავრცელეს, ჯარის კაცებს ჩაგიყენებთ ოჯახებშიო და ცოლ-შვილს გაგიწბილებთო და აბა როგორ-ღა უნდა გავჩერდეთო. ამის პასუხად ბევრჯელ უთქვამთ, ეგ სიცრუეა, მთავრობა, თუ აქამდისინ

## ფელეტონი

### ყოველ-თთვიური პროვინციელისა

(წერილი გურიიდგან)

იანვარი

მკითხველს რაღა საბუთით უნდა ვუსაყვედურო, როცა მეც აღარ მახსოვს, როდის დავსწერე უკანასკნელად ჩემი „ყოველ-თთვიური“. დიაღ, ისე წარმავალი და ფუქსავატის შინაარსისა იყო ის წერილები, რომ იმისი აღარც მკითხველს ახსოვს რამე და აღარც მე; აბა, ასოთ-ამწყობსა და კორექტორს რაღა ეშმაკი და ქაჯი დაამახსოვნებდა! ამაების მიუხედავად და იმის მიხედვით, რომ „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“, თუ დარი დამიდგა, ვაპირობ კიდევ გავუწვრილო გული მკითხველსა და კიდევ გავუმართო ყოველ-თთვიური საუბარი.

ამ ფეხ-უკულმართს წელიწადს ერთი ფეხი უკვე მოატყდა, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენც ბევრი უბედურება და ვაი-ვაგლახი დაგვატეხა თავს. იმდენი უბედურება, რამდენმაც ამ ერთის თთვის განმავლობაში გადაიარა ჩვენს თავზე, სხვა ერმა და ქვეყანამ, რასაკვირველია, ისეთმა ერმა და ქვეყანამ, სადაც ცხოვრების თავი და ბოლო შეგნებულია და არა არეულ-დარეული, შეიძლება ერთს საუკუნეშიაც ვერა ჰნახოს. ტყდება და ინგრევა ხიდი, ირჩევა და იღუპება ხალხი; იმტვრევა და იწვის ვაგონი, იწვის და ისრისება ხალხი; ფირალდებიან რამდენიმე თავზე ხელ-აღებულნი დამნაშავენი და აქაც იძარცვება და იელიტება იგივე ალალმართალი ხალხი. საქმე ის არის, ადამიანის ჭკუა-გონება იქ არის საჭირო, რომ უბედურების მიზეზი იქმნას მიგნებული და კვლავ გამეორებას ისეთის უბედურებისას ადგილი აღარ ჰქონდეს. ამ შემთხვევაში ყველას და ყველაფერს საშველი აქვს, გარდა გურიისა. 6 იანვრის უბედურება ტფილისელებს ჭკუას ასწავლის და სამერმისოდ მაგარსა და მკვიდრს ხიდს ააგებენ. შესაძლოა, რკინის გზის გამგეობამაც მოაწყოს თავისი საქმე ისე, რომ ხშირ-ხშირად ადამიანს არ სრესდეს ვაგონი. ხოლო რა ეშველება და რა ეწამლება გურიას, როგორ უნდა მოეწყოს და მოიმართოს იმისი საქმე, რომ ძირიან-ფესვიანად მოისპოს ამ ქვეყანაში ფარალობა, რომელიც ანადგურებს ყოველგვარს დარგს ამ ხალხის კეთილდღეობისას? აი საკითხი, რომელიც ენის წვერზე უტრიალებს ყველა გონება-ნათელს კაცს, ვისაც-კი გურიის ავ-კარგი ამ მხრით შეგნებულ-შესწავლილი აქვს.

მართალია გურიას ჯერ უფირალოდ დღე არ დაღამებია და ღამე არ გასთენებია, მაგრამ, რაც ამ უკანასკნელის სამისა თუ ოთხი წლის განმავლობაში ფირალების გამო ამ პატარა მაზრას დღე დადგა, წარმოსადგენად ძნელია. მიზეზისა რა მოგახსენოთ, ხოლო წინად სულ სხვა თვალით უყურებდნენ ჩვენში ფირალობას. ამ უკანასკნელს ხანებში-კი აზრი შეიცვალეს. წინად დარწმუნებული იყვნენ, რომ ოთხისა თუ ხუთის კაცის ტყედ გავარდნა, თავზე ხელის აღება და გაავაზაკება მთელის მაზრის მკვიდრთა სიწამხდრესა და სიგლახეს არ მოასწავებსო და ამიტომ სდევნიდნენ და ებრძოდნენ ავაზაკებს. მაშინ არავინ არ ფიქრობდა, თუ ფირალებისგან ჩადენილი ზარალი და დანაშაული მცხოვრებთ უნდა ჰზღონო. ამ აზრის შეცვლის შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ, სხვა რიგად დატრიალდა საქმე: ახლა ფიქრობენ, რომ მკვიდრთაც თუ ხელი არ შეუწყეს, ავაზაკობას ამ მაზრაში ალაგი არ ექნებაო და, რადგანაც ასეა, ავაზაკთა დანაშაულობა და ზარალი ამ მაზრისა მკვიდრთ ვაზღვევინოთო. თვალად თითქო ასეც უნდა იყოს, თვალად ისე სჩანს, რომ ავაზაკი ვერ იზოგინებს ხალხში, თუ ხალხმა არ აზოგინა, მაგრამ ნამდვილად-კი ასე არ გამოვიდა. ასეთმა ქვეყნის სასარგებლოდ მიმართულმა ფიქრმა, ცოტა არ იყოს, მწარე ნაყოფი გამოიღო. ისედაც აწეწილ-დაწეწილი და არეულ-დარეული საქმე ჩვენის მაზრისა უარესად არია და აიწეწა. რომ ეს სიტყვები მოგონილი და გადაჭარბებული არავის ეგონოს, საჭიროდ ვრაცხ ანგარიში მოვიყვანო იმისი, თუ ფირალების გამო ამ უკანასკნელს წლებში რა ქონებრივი ზარალი მოსვლია გურიას. ორის წლის განმავლობაში ეგრედ წოდებულის „Страж“-ის შესანახად კომლზე 15 კაპ. იღებდნენ. გურიაში 15,000 კომლი ითვლება და მაშასადამე ეგ „Стража“, რომელსაც თითქმის არაფერი გაუკეთებია, 4500 მანეთად დასჯდომია გურიას. ამას გარდა, ფოსტის გაძარცვისათვის გადაჰხდა 600 მანეთი; სხვა-და-სხვა გაძარცულთა სასარგებლოდ 1,300 მანეთი. ოთხს საზოგადოებას ლიხაურისას, აკეთისას, ჯუმათისას და ლანჩხუთისას „ეგზეკუცია“ ჩაუყენეს. თითოეულს საზოგადოებას დაუჯდა არა ნაკლებ 3,000 მანეთისა.—ესეც 12,000 მ., ახლა ის მოცდენა და ზარალიც წარმოიდგინეთ და ივარაუდეთ, რომ თითქმის ყოველ ცისმარე დღეს, „კანცელარიაზე“ ერეკებოდნენ ხალხს, „ყრილობაა, ფირალების დაჭერის შესახებ უნდა მოილაპარაკოთო“ და ადვილად შეგიძლიათ დაინახოთ ილაჯგაწყვეტა ჩვენის ხალხისა.

კიდევ კარგი რომ ეს ილაჯ-გა-

არ მოგექცათ მაგრე, არც ეხლა მოგექცევათო. ხოლო თუ იმისი გეშინიანთ, რომ თქვენს შვილებს „სალდათად" წაიყვანენ, არც ეს არის მართალი. მთავრობას კიდეც რომ შეეხვეწოთ, მაინც არ გაიყვანენ თქვენგან ჯარსაო.

ეტყობა, რომ ამ საქმეში ვიღაც ავი სულია ჩარეული და იმ ნაირად ჩაუგონებია ქართველ-მაჰმადიანებისთვის, ისეთი გესლი ჩაუწვეთებია იმათთვის, რომ აღარავისი გონივრული სიტყვა აღარა სჯერათ. ეხლა ხმა გავრცელდა, რომ ადიგენის მემამულე, კაცი შეძლებული და გავლენიანი ქართველს მაჰმადიანებში, სულეიმან-ბეგ ერისთავიც აპირებს გადასახლებას ოსმალეთში და თავის ძვირფასს მამულსაც (სულ ცოტა — ღირს ორმოცი ათასი მანეთი) უპირებს გასყიდვასა. — თუ ეს ხმა მართალი გამოდგა და სულეიმან-ბეგ ერისთავი გადასახლდა ოსმალეთში, მაშინ ხომ ვეღარაფრით ვეღარ შევაჩერებთ გლეხობას. ჩვენის აზრით, ამ სამწუხარო გარემოებას რომ საფუძვლიანად გამოიკვლევდეს ბ-ნი გუბერნატორი, ურიგო არ იქნება.

*** გაზეთს „Т. Л." თეირანიდგან სწერენ დეპეშით, რომ სპარსეთის სამღდელოებამ თავისი უკმაყოფილება გამოაცხადა შაჰის მემკვიდრის ევროპაში მოგზაურობის შესახებ, იმის გამო, რომ ვითომ ინგლისელები ამ მოგზაურობით ისარგებლებენ და კიდევ რაიმე ახალს მონოპოლიას გამოსტყუვენ სპარსეთის მთავრობასაო. შაჰი ჯერ არ ეთანხმებოდა სამღვდელოებას და არ იშლიდა ევროპაში თავის მემკვიდრის გაგზავნას, მაგრამ სამღვდელოებამ მაინც დაიყოლია და 18 თებერვალს შაჰმა ოფიციალურად გამოაცხადა, მემკვიდრე ევროპაში აღარ წავა, რადგანაც ამ ჟამად საჭიროა, სპარსეთის სატახტო ქალაქში იმყოფებოდესო.

*** ბათუმი: ბათუმიდგან სწერენ გაზეთს „Нов. Обоз"-ს, 10 თებერვალს, დილის $6\frac{1}{2}$ საათზედ, სოფელს სარპაში, ოსმალეთის საზღვარზედ, ათი მილიციის ჯარის კაცი რეჯებ-ეფენდი-შაშიკ-ოღლის მეთაურობით გარს შემოერტყნენ ერთს სახლს, რომელშიაც გამოჩენილი ყაჩაღი და ავაზაკი ჰალიბ-ჯებარ-ოღლი იმყოფებოდა. ავაზაკი ნებით არ დანებდა მილიციელებს და ატყდა სროლა, რომელმაც სამი საათი ამაოდ გასტანა. მაშინ რეჯებ-ეფენდიმ სახლს გარშემო ჩალა შემოუწყო და ცეცხლი წაუკიდა. ჯებარ-ოღლიმ შეჰნიშნა, რომ ვეღარას გახდებოდა და დაჰმორჩილდა პოლიციელებს.

*** ნათლიღება დღეს მომხდარს უბედურებით დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენად დაარსებულს კომისიას მოუვიდა ქაღალდი სენაკის მაზრის მცხოვრებელ კუპრავასაგან, რომ ჩემი შვილი იაკობ კუპრავაც 6 იანვარს დაირჩო წყალშიო. კომისიამ ამ დრომდე ამ მსხვერპლის ამბავი სრულიად არ იცოდა. იაკ. კუპრავაც რომ დამრჩვალთა რიცხვში ჩავთვალოთ, შესდგება სულ 39 კაცი („Нов. Обоз.").

*** იმავე გაზეთს შეუტყვია, რომ ტფილისში იმყოფება ამ ჟამად „Нов. Вр". თანამშრომელი ბ-ნი მოლჩანოვი.

*** ამავე გაზეთს შეუტყვია, რომ ქ-ნი ძნელაძისა, ბ-ნნი კატელლი და კრამსკოი-სელსკი ქუთაისსა, ბათუმსა და სხვა ქალაქებში კონცერტებსა და წარმოდგენებს გაჰმართავენო.

*** გაზეთს „Кавказъ"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ განჯის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის თანაშემწე ლოზინსკი გადაყვანილ იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოში იმავე თანამდებობაზეო.

*** იგივე გაზეთი ამბობს რომ სახელმწიფო საბჭოს წევრი გენერალ-ადიუტანტი თავადი ლ. ი. მელიქოვი ინფლუენცით გახდა ავადაო. მკურნალები შიშობენ, ფილტვების ანთებად არ გადაექცესო.

*** სომეხთა პოეტისა და პუბლიცისტის შახ-აზიზის 30 წლის იუბილეის დღესასწაული მოსკოვში, როგორც გაზეთს „Нов. Обоз".-ს შეუტყვია, დანიშნულია ამ წლის 9 აპრილს.

## მთავრობის განკარგულებანი

სამსახურს გარეშე მყოფი პოდპოლკოვნიკი თავ. ივანე გრიგოლის ძე ბებუთოვი დამტკიცებულია ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად.

გადაყვანილ იქმნენ: 150-ის ტამანის პოლკის პოდპორუჩიკი პუჩინიანი 156 განჯის პოლკში, ბაშკადიკლარსკის ბატალიონის პოდპორუჩიკი სიმონოვი მაიკოპის სათადარიგო ბატალიონში.

გამორიცხულ იქმნენ სიებიდგან: 155 ყუბანის პოლკის პორუჩიკი ემელიანოვი, მილიციის შტაბს-კაპიტანი თავ. ალექსანდრე ფალავა და პოდპორუჩიკები: თავ. დიმიტრი ერისთავი, თავ. ოტია დადიანი და თავ. ტოტი ფალავა.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი

ახლად დანიშნულ იქმნენ:

უადგილოდ მყოფი მღვდელი კონსტანტინე ბანეთაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა გორის მაზრის სოფ. სვენეთის სამრევლოში.

ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დამთავრებული ალექსანდრე ტაბლიაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა დუშეთის მაზრის სოფ. კურისუბნის სამრევლოს მღვდლად.

ტფილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა-დამთავრებული ვასილი თვალიაშვილი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა გორის მაზრის სოფ. ღვარების სამრევლოს მღვდლად.

სემინარიაში სწავლა-დამთავრებული ალექსანდრე ბიბილური დაინიშნა ტფილისის მაზრის სოფ. მოხისის წმ. სამების ეკკლესიის მღვდლად.

სასულიერო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული, მთავრის შვილი ლავრენტი მშველიძე, თავისისავე თხოვნის თანახმად, დაინიშნა გორის მაზრის სოფ. ღვარების ახალად შემდგარ სამრევლოს მედავითნედ.

სასულიერო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული დიმიტრი ქურდიანი, თავისისავე თხოვნის თანახმად, დანიშნულ იქმნა გერგეტის ეკკლესიის მედავითნეს ადგილზედ.

დიაკვანი არდონის ეკკლესიისა სტეფანე იკონომიდი ხელ-დასხმულ იქმნა მთავრად თავისსავე თანამდებობაზედ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ქ. ახალციხე. ახალციხის ახლო, ესე ექვს-შვიდს ვერსზე, სძევს მშვენიერი საფარის მონასტერი, მოწმე მრავალის უბედურებისა და ქრისტიანების ტყვევნა-რბევისა. მონასტერი შესანიშნავია, როგორც არხიტექტურის მხრით, ისე თავისის ხუცურის წარწერებითაც. წარწერანი ისე მშვენივრად დაცულა, რომ ხუცურის მცირე მცოდნენიც ადვილად გაარჩევენ და წაიკითხავენ. მიდამო მონასტრისა თვალ-წარმტაცია და თავმოწონებით გადასცქერის ერთის მხრით მოდუდუნე მტკვარს და მეორე მხრით ძველად დიდებულს და ეხლა-კი მინგრეულ-მონგრეულს აწყურის ტაძარს. მონასტერს ავლია ქვითკირის გალავანი, ალაგ-ალაგ ჩამონგრეული. კლდის ნაპირას ამართულია უმთავრესი ტაძარი მონასტრისა; ტაძარს არტყია ცამეტი მცირე ეკკლესია. ყველას ქვის სახურავი დასძველებია და შიგ წვეთი ჩადის. წვეთს უწყალოდ გაუფუჭებია ეკკლესიაში ნახატი სურათები დიდებულის ჩვენის წინაპრებისა. რაც წვიმას დაუკლია, ის ულმობელის კაცის ხელს დაუმთავრებია. მაგალითებრ, ბევს სურათისთვის ორთავ თვალები ამოუთხრიათ და ფეხებში ვითომ-და მამალი გამოუსახავთ კედლის ჩიჩქნით. ეტყობა, ახალციხის ბიჭ-ბუჭებს სხვა უკეთესი ალაგი ვერ უპოვნიათ თავიანთის სამხატვრო ნიჭის გამოსაჩენად.

ეკკლესიების მოშორებით მოსჩანს ნანგრევები თლილის ქვით ნაგებ ათაბეგების სასახლისა, რომელშიაც განცხრომას ეძლეოდნენ შემდეგში ახალციხის ფაშები. იქვე, ერთის უზარმაზარის კაკლის ქვეშ, გამოჩუხჩუხებს წყარო, რომლითაც ირწყვის მონასტრის ბოსტნები. ოდესმე საფარაში ატარებდნენ ზაფხულს სამცხეს ათაბეგნი. თვით საფარის მონასტერი განთქმული ყოფილა თავისის სიწმინდით და დღესაც ხალხი დიდის თაყვანისცემითა და მოწიწებით შეჰყურებს ამ მონასტერს. ქართველ-მაჰმადიანსაც ვერ დაუვიწყნია თავის მამაპაპის სალოცავი და მარიამობას უსათუოდ მივა მონასტერში და მიართმევს რასმეს, ან სანთელს მაინც დაანთებს და შეევედრება ღმერთს.

სამწუხაროდ, უკანასკნელ დრომდე საფარას რიგიანი მისავალი გზა არა ჰქონდა. იყო ერთი რაღაცა ვიწრო ბილიკი, რომელზედაც ძალიან საშიშო იყო ცუდს ამინდში სიარული. საფარაში მყოფი ერთად-ერთი ბერი და რამდენიმე მორჩილი უგზობის გამო დიდს გაჭირვებას ითმენდნენ. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება საფარის განახლების კომიტეტის თავმჯდომარემ პატივცემულმა პოლკოვნიკმა ა. ი. მუსხელაშვილმა და თავისის საფასით გააკეთა გზა ახალციხიდან მონასტრამდე. შრომა და ჯაფა ბევრი წავიდა ძალიან, კლდეებს თოფის წამლით უნდებოდა დანგრევა. ბ-ნი მუსხელაშვილი არც ხარჯს მოერიდა, არც შრომას და მშვენიერი საურმე გზა გაიყვანა, გააკეთა ხიდები, ღელეები ამოავსო ღორღით, ერთს ნაპირას ამოუთხარა რუ წვიმის წყლის სადენად და სხვა, ასე რომ ეხლა ოთხ-ცხენ შებმული ეტლიც თავისუფლად გაივლის ამ გზაზედ.

მართალია, გზა გაკეთდა, მაგრამ ყურის მგდებელი არავინა ჰყავს; თვით ბ-ნი მუსხელაშვილი, სამსახურის გამო, მუდამ თვალყურს ვერ ადევნებს. ამისათვის გზა ალაგ-ალაგ გაფუჭდა, ზოგან კიდევ კლდეები ჩამოწვა და გზა გაავსო ქვის ღორღით. ამ კლდეებს ეჭირვება სრულიად დანგრევა თოფის წამლით, თორემ შემდეგშიაც კვლავ გააფუჭებს გზას და ამოდენა შრომა ფუჭად ჩაივლის. იმედია, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეგზარხოსი საქართველოსი პალადი, რომელიც ზრუნვას არ აკლებს ძველს ტაძარ-ეკკლესიებს, ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და გაუადვილებს პატივცემულს მუსხელაშვილს ჯაფას და შრომას. საკმარისი იქნება სულ რამდენიმე ფუთი თოფის წამალი და აბა ასეთს მცირე შესაწირავს როგორ დაიშურებს ჩვენი სამხედრო უწყება, თუკი იმას მიჰმართავს ისეთი მაღალ-ხარისხოვანი იერარქი და მწყემს-მთავარი ჩვენის ეკკლესიისა, როგორიცა ბძანდება მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი ეგზარხოსი პალადი.

---

წყვეტა რითიმე გათავებულიყო. სამწუხაროდ, ამ გვარივე ზომა და ღონისძიება ახლაც არის მიღებული ჩვენში ზოგიერთს ალაგას და ამ ნაირად ჩვენს ზნეობრივად და ქონებრივად დაქვეითებას, აღარ ვიცით, სად ექნება საზღვარი! ხოლო ის-კი საეჭველი არ არის, რომ ასეთი სიმკაცრეთა უსაზღვრობა რომლისამე ღარიბ-ღატაკ გოგიელას მოთმინებას საზღვარს დასდებს და ერთს მშვენიერს დღეს ისიც ფირალთა სიაში ჩაეწერება.

აი, მოკლედ და მოჭრით ნათქვამი ჩვენი გაჭირვება, რომელსაც დროზე უნდა მიშველება და პატრონობა, თორემ შესაძლოა, უკურნებელ სენად გადაიქცეს და გურიას მწარე დღეები დაადგეს. რა გაეწყობა?

> კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს,
> ავი რა საკვირველია!

**

ზემოდ მოგახსენეთ, რომ ფირალთა წინააღმდეგ მიღებულმა ღონისძიებამ დიდი ზნეობრივი და ქონებრივი ზარალი მოუტანა გურიას-მეთაქი. ქონებრივის ზარალის დასასაბუთებლად ციფირები მოვიყვანეთ, ხოლო შესახებ ზნეობრივის ზარალისა ახლა მინდა დავიწყო საუბარი.

იმ ამბავმა, რომ ფირალების მიერ გაძარცულთ მკვიდრნი უზღვენ დანაკარგსაო, ერთს აქაურს სოფლის მწერალს შემდეგი ოინი ჩაადენინა: ერთს მშვენიერს დღეს, როცა თავის სოფლიდგან მეორე სოფელში მიემგზავრებოდა, გაჩერდა გზაში და მორთო ყვირილი: მიშველეთ! ფირალები დამხვდნენ, გამძარცვეს, ამდენი ფულად წამართვეს, ამდენი ნივთი, ამასაც არ დასჯერდნენ, ბილეთი გვიშოვე კიდევო, მითხრესო და სხ. ერთის სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, ოინიანმა მწერალმა ყველა დაარწმუნა, გამძარცვესო, ასე გასინჯეთ, თვით „ივერიის" კორესპონდენტი ბ-ნი „ქვიანელიც", რომელმაც გულ-უბრყვილოდ ასწერა ეს ამბავი „ივერიაში" და, სხვათა შორის, ისიც-კი მოიხსენია, თუ რა სახე გაფითრებული და გულ-აკანკალებული იყო იმ დროს ეგ ვითომდა გაძარცული კაცი. დიაღ, როგორც ამ წერილიდგან და შემდეგ მთავრობის მიერ გამორკვეულ ამბიდგან სჩანს მწერალი ნამდვილი არტისტი ყოფილა. ოზურგეთში დეპეშა უფრენია, ასე და ასეა საქმე და მიშველეთო. ოზურგეთიდგან პოლიცია და ჯარი წასულა ფირალების შესაპყრობად, მაგრამ რას შეიპყრობდნენ, რომ იქ გზათაც თურმე არ გაუვლიათ ფირალებს და ყოველივე ალიაქოთი ხრიკიანის მწერლის უნარი იყო, რომელსაც ამ ღონისძიებით რამდენისამე ასის მანეთის ხელთ გდება უნდოდა და სხვა არაფერი.

ახლა ყველაფერი გამოირკვა და გამოაშკარავდა. ეს უნარიანი ვაჟბატონი ამას წინად სხვა სოფელში ყოფილა მწერლად და, როგორც ჩვეულებაა ჩვენში, სოფლის ფული გაუფლანგავს, მაგრამ ყელზე დასდგომია. მეტი გზა არ იყო, გაფლანგული ფული სოფლისათვის უნდა ეზღო, და სწორედ იმ დღეს, რა დღესაც ეს ახირებული ამბავი გამოატყვრინა, ვადა იყო თურმე ამ ფულის გარდახდისა. რაკი ფული ვერ მოიხერხა, ან არ მოიხერხა, ამ ღონის-ძიებას მიჰმართა. უნდოდა მთავრობა დაერწმუნებინა, რომ ფული მზა-მზარეულად მეწყო ჯიბეში და დანიშნულებისამებრ მიმქონდა, მაგრამ გამძარცვეს და აწი თქვენ იცითო. მთავრობას, რადგანაც ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა იმ ადგილებში ფირალთა ყოფნისა, არ ეჭაშნიკა ეს ამბავი, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ „გაძარცულის" მწერლის საქმე გამომძიებელს გადაეცა და ადვილად შესაძლებელია ისეთის ოინისათვის ოინი დაემართოს და ბრალდებულთა სკამზე ამოჰყოს თავი.

კიდევ კარგი, რომ ეს ამბავი ასე თუ ისე შენიშნულ იქმნა, ხოლო ვინ არის თავ-მდები, რომ უარესი სხვასაც არ ჩაედინოს! დიაღ, ადვილად შესაძლებელია, რომ სხვამ უკეთ მოაწყო საქმე, უკეთ აბნ-დააბნია დანაშაულობის კვალი და ამასობაში სოფლელთ უმისოდაც გამძვრალი ტყავი გააძრო.

**

ასეა თუ ისე, ჩვენ მაინც დროსა და გარემოებას ვუცდით და შევიტყობთ, რისგან რა გამოვა. ვნახოთ ასკანის საზოგადოებას რა ბედნიერებას მიანიჭებს ჯამაგირიანი მამასახლისი, რომელსაც მთავრობა გააწესებს ამ საზოგადოებაში საზოგადოების დაუკითხავად. ყოველსავე ამას ვნახავთ და გავიგებთ, მაგრამ არა მგონია, რომ ის აზრი, ვითომც გურულები ფირალთა დევნაში გულგრილობას იჩენდნენ, მართალი გამოდგეს; ვექვობთ, მართალი გამოდგეს, იმიტომ რომ ამ ბოლო დროს ოთხი გურული გლეხ-კაცი გახდა მსხვერპლი ფირალთა თოფის ტყვიისა. თუ რომ გულ-გრილობა ყოფილიყო, როგორც ზოგიერთნი ფიქრობენ, ეს კაცები დამთხვეულები ხომ არ იყვნენ, რომ აგრე უშიშრად მიუშვირეს ტყვიას გულ-მკერდი და ასეთის უშიშრობითა და თავ-გამეტებით უნუგეშოდ დაჰყარეს ოჯახი და ცოლ-შვილი. საკვირველია ზოგიერთის ფიქრი ჩვენს შესახებ და უფრო საკვირველი ისაა, რომ მე კიდევ ნუგეშად შოთას ნაანდერძევი უნდა გავიმეორო:

> კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს,
> ავი რა საკვირველია!

დათიკო ვერმიცანაშვილი

## კიდევ სიმინდის საქმის გამო ქუთაისის გუბერნიაში

(წერილი ქუთაისიდან)

ეხლა სრული იმედია, რომ მთავრობა მიიღებს მხედველობაში ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას, რაკი ქუთაისის გუბერნიის ყოველ კუთხიდამ აფრინეს დეპეშები ფინანსთა მინისტრთან და ამ დეპეშებით დაწვრილებით აცნობეს, რა განსაცდელში ჩავარდა მთელი ჩვენი მხარე საზღვარგარეთ სიმინდის გატანის აღკრძალვის გამო. ეს იმედი მით უფრო საბუთიანად მიგვაჩნია, რომ განსაკუთრებულისა და მოსკოვის კომიტეტის წარმომადგენელმა ბ-ნმა ალექსეევმა წარმოსთქვა თავისი წრფელი აზრი შესახებ ჩვენის სიმინდისა, რომელიც, მისის აზრით, სრულიად გამოუსადეგარია დამშეულთათვის რუსეთის შიდა გუბერნიებში. ამას გარდა, არის ისეთი უტყუარი ნიშნებიც, რომელიც საბუთს გვაძლევს მტკიცედ დავრწმუნდეთ, რომ ამ დღეებში საკეთილოდ გადაწყდება ჩვენის სიმინდის საქმე და, უმაღლესის მთავრობის წყალობით, მოგვენიჭება ნება გავყიდოთ ჩვენი სიმინდი, როგორც გვინდა და სადაც გვინდა.

ეხლა მხოლოდ ის დაგვრჩენია საზრუნველად, რომ ეს მოსალოდნელი უმაღლესი წყალობა რიგიანად გამოვიყენოთ.

ყველამ იცის, რომ, როცა ჩვენს სიმინდს გზა შეეკრა და ეს აუარებელი ღვთის წყალობა თითქოს უპატრონოდ დარჩა, მისი მაზანდა საოცრად დაეცა — ოთხ აბაზიდგან ფუთზე უეცრად ჩამოვიდა ხუთ და ექვს შაურამდე. ეს გარემოება, რასაკვირველია, კარგად გამოიყენეს ხალხის მცარცველმა სვავებმა, სიმინდის ჩარჩებმა. სადაც-კი მიუწვდებოდათ ხელი და რამდენადაც-კი გასწვდებოდათ თავიანთი შეძლება, შეუდგნენ სიმინდის შესყიდვას, როგორც იტყვიან ჩვენში, ოხერ ფასად. თუ მთელის გუბერნიის ნაჭირნახულევის ხელში ჩაგდება ვერ მოასწრეს, ამისი მიზეზი ის იყო, რომ, ერთის მხრით ამინდები უშლიდა, მეორეს მხრით — საქმის საკმაოდ გამოურკვევლობა და ეჭვი იმისი, რომ ვაი თუ ხელში შეგვრჩეს სიმინდი და საჩქაროდ არ გაეხსნას გზა და ბაზარიო. ეხლა-კი, როცა სიმინდის გატანის ნება-რთვამ მოგვატანა, რასაკვირველია, ეს ჩარჩები ეცდებიან, დაკარგული დრო დაიბრუნონ და დანარჩენი სიმინდიც გამოსხლიტონ ხელიდგან იმედ-მიხდილს ხალხს. ფრიად საჭიროა ეხლა, რომ მოთმინებით ავიჭურვოთ, სულ ბევრი — ერთს, ან ორს კვირას კიდევ გავმაგრდეთ, არ შევეલიოთ სიმინდს და არ გავყიდოთ იმ მაზანდით, რომელიც ეხლა არსებობს. სიცაა გვეშველება და სიმინდის ფასი თავისს ბუნებურს კვალში ჩადგება.

—

არ შემიძლიან ეს წერილი ისე გავათავო, რომ არ აღვნიშნო ერთი ფრიად სამწუხარო გარემოება. ჩვენს დალოცვილს ქუთაისში ყველაფერი „პარტიის“ საქმედ უნდა გახადონ. სიცრუეს და ცილის-წამებას ისე არ ასცდებიან, როგორც კეთილ-განწყობილს საზოგადოებაში — რაიმე კეთილს საქმეს. ვიღაც-ვიღაცაებს დასჭირდათ, სხვა-და-სხვა მოსაზრებით, რომელთაც მკითხველი ადვილად მიხვდება, გაევრცელებინათ ჭორი,ვითომ ჩვენის სიმინდის საქმის დაწყების თაოსნობა ეკუთვნის ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუ სადმე სამართალია. ასე უნდა ყოფილიყო იმიტომ, რომ სიმინდის გზის შეკვრით ყველაზე მეტად ზარალობდნენ მიწადმფლობელნი და მაშასადამე ბანკის თავი და თავი მოვალენი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ ყოფილა. სამართლიანობა გვაიძულებს მივუწყოთ ყველას თავის რიგზე, საზოგადოების წინაშე დამსახურების მიხედვით. ჯერ აქ ფიქრადაც არავის ჰქონდა გულში გავლებული ამ საქმის დაწყება, მით უმეტეს, ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკს, როცა ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ და მისმა მმართველმა ბ-ნმა პ. თუმანიშვილმა ითავა პირველად ეს საქმე და გაუგზავნა დეპეშით პირველი თხოვნა ფინანსთა მინისტრს 12 იანვარს. ამას შემდეგ იმავე დღეებში გაუგზავნეს დეპეშა ფინანსთა მინისტრსვე: ქუთ. ქალაქის მოურავმა, ბ-ნმა ლ. ასათიანმა, ქუთ. მაზრის წინამძღოლმა, ბ-ნმა კ. წულუკიძემ, ფოთის ქალაქის მოურავმა, ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ და სამეგრელოს თავად აზნაურთ წინამძღოლთა.

გავიდა ორი კვირა მას აქეთ და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის მმართველობამ კრინტიც არ დასძრა ამ საგანზე; შეიძლება რაიმე დიდის მოსაზრების გამო, ეს არ ვიცით. ერთს მოსაზრებას-კი ასახელებდნენ კიდეც ზოგიერთნი, სახელდობრ, იმ მოსაზრებას, რომ ვითომ ჩვენის ბანკის გირავნობის ფურცლები იზარალებს ამ ნაირის ღალადებით და დაეცემა მათი ფასიო. თუ რამდენად საფუძლიანია ეს მოსაზრება, ამის განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით. საქმე იმაშია, რომ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკმა მხოლოდ 30 იანვარს გაჰგზავნა ამ საგანზე დეპეშა, სწორედ იმ დღეს, როცა ფინანსთა სამინისტროში უკვე დამზადებული იყო პასუხი და იგზავნებოდა. ვსთქვათ, მართალია, ქვეყანა არ გაკეთებულა, ან რა გააკეთებს ჩვენს ქვეყანას, მით, რომ ბ-ნმა თუმანიშვილმა გაჰგზავნა დეპეშა, მაგრამ, მეორეს მხრით, რად უნდა წავართვათ ვისმეს თავისი ნაღვაწი. ამას გარდა, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადო საქმეში ჭორი და სიცრუე მავნებელიც არის და უღირსი საქციელიც. პირველი საქმე ის არის, რომ ქვეყანას ეშველოს და კეთილი დაეყაროს. ხოლო ის, თუ ვინ, რა საზოგადოება და რა დაწესებულება იყო ქვეყნის მშველელი და მისთვის კეთილის დამყრელი, ისეთის დიდის ყურადღების ღირსი საგანი აღარ არის. საჭიროა მხოლოდ, რომ ყველას თავ-თავისი დამსახურება და ღვაწლი შერჩეს. საკუთრად ჩვენი მოვალეობა, როგორც გაზეთის მემატიანესი, არის, სიმართლით აღვნიშნოთ ეს ღვაწლი და დამსახურება თითოეულის კერძო მოღვაწესი, საზოგადოებისა, თუ დაწესებულებისა.

## რუსეთი

ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში მოხსენებული გვქონდა, ნიჟნი-გოროდის საგუბერნიო ერობა შეამდგომლობს მთავრობის წინაშე სოფლებში საზოგადო ნახნავების შემოღების თაობაზეო. კითხვა არ უნდა, ეს საქმე ერობას წლევანდელმა სიმშილმა დააწყებინა; ერობას ჰსურს, გლეხ-კაცობა უზრუნველ ჰყოს შემდეგისთვის პურით, თუ ვინიცობაა კიდევ მოუსავლობა დაატყდათ თავსა. ამავე გარემოებას ყურადღება მიაქცია მთავრობამაც. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვრცელი პროგრამა შეადგინა ამ საგნის შესახებ და გუბერნატორებს დაურიგა განსახილველად. აი რა და რაა მოხსენებული ამ პროგრამაში:

1) რა ღონის-ძიებით უნდა ვყოთ უზრუნველ გლეხ-კაცობა საკვებითა და სათესლეთი? თუ პურის თადარიგის დაჭერაა საჭირო ამ საქმისთვის, რა წესითა და ანგარიშით უნდა გაიღონ გლეხებმა პური სასოფლო მაღაზიაში შესანახად და ან როგორ უნდა შეივსოს სასოფლო პურის მაღაზია?

2) რომელმა ადგილობრივმა დაწესებულებამ უნდა განაგოს ხალხის კვების საქმე ან ზედამხედველი და პასუხის მგებელი ვინ უნდა იყოს?

3) რა ღონის-ძიება უნდა იქმნას ხმარებული, რომ ყურის გდება მუდამ არ მოაკლდეს პურის მაღაზიას? პურის მაღაზიის პატრონ ერთი სოფელი უნდა იყოს ცალკე, თუ რამდენიმე საზოგადოება უნდა შეერთდეს ერთად ამ საგნისთვის?

4) როგორ უნდა მოეწყოს საქმე, რომ რიგიანად და დროზედ მიეცეთ ხოლმე სესხი გაჭირვებულთ?

5) ერთი ერთმანეთის თავდებნი უნდა იყვნენ ხოლმე გლეხები სესხის წაღების დროს, თუ სხვა რამ სათავდებო უნდა ჰქონდეს სესხის წამღებსა?

6) როგორ უნდა იანგარიშებოდეს, რომ ვის რამდენი სესხი მიეცეს და ვინ უფრო გაჭირვებულია?

7) როგორ უნდა ჰყონ უზრუნველ პურით ის ხალხი, რომელიც რომელსამე სასოფლო საზოგადოებას არ ეკუთვნის?

8) რა ღონის-ძიება უნდა იქმნას ხმარებული, რომ გლეხებს ერთბაშად და ერთად არ მოუხდეთ თავის მოსავლის გაყიდვა სახელმწიფო ხარჯის გადასახდელად და ამის გამო ბაზარში საჭიროზე მომეტებული საქონელი არ გაიტანონ?

9) საჭიროა თუ არა საზოგადო ნათესების შემოღება და, თუ საჭიროა, როგორ უნდა მოეწყოს უკეთესად ეს საქმე?

10) როგორ უნდა იწარმოებოდეს ადგილობრივ საზოგადო სამუშაო და ამისთვის საჭირო ფული საიდგან უნდა იშოვნონ?

11) მოუსავლობის დროს რა წესით უნდა მიიტანონ ხოლმე პური დამშეულს ადგილებში რკინის გზების სადგურებიდგან, ბეგარით, თუ ფასით?

12) რა ღონის-ძიებანი უნდა ვიხმაროთ, რომ სიმშილობის დროს საქონელს საჭმელი არ დააკლდეს?

## წვრილი ამბავი

გიუ-დე-მოპასანის ჯანმრთელობა დღითი-დღე უარესდება. მეგობრებს ძლივსა სცნობს, მეხსიერება თანდათან უსუსტდება, სიდამბლე კიდევა აქვს. საჭმელს მალდატანებით აჭმევენ.

— სამინისტრო კრიზისი თითქმის გამძლები ყოფილა. ქრისტიანიაშიც ბევრს ლაპარაკობენ სამინისტროს კრიზისის შესახებ. ნორვეგიის მეფეს, ოსკარს, წინააღმდეგ სამინისტროსი, სურვილი გამოუცხადებია, რომ ნორვეგიის ელჩების საქმე განსაღვული იყოს შვეციისა და ნორვეგიის შეერთებულს სახელმწიფო საბჭოშიო. ნორვეგიის გაზეთება ამბობენ, რომ სამინისტროს აღარაფერი დარჩენია იმის მეტი, რომ სამსახურიდგან გადადგესო.

— საფრანგეთის ზოგიერთს სასოფლო ჟურნალში შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი: „საჭიროა ახალი მინისტრები, ჯამაგირი კარგია, ვისაც მინისტრობა ჰსურთ, დაეჩქარეთ.“

— ამერიკელმა მწერალმა ლეუს უოლესმა თავისი ნაწერი „Ren Hur“ 100,000 დოლლარად გაყიდა. გენერალმა შერმანმა ისტორიულს წერილებში იმდენი ფული აიღო ჯილდოდ, რომ მთელს სიცოცხლეში ეყო. სახელმწიფო მდივანმა ბ—ენმა თავისს ნაწერს წიგნში — „ოცი წელი კონგრესში“ 100,000 დოლლარი აიღო ჯილდოდ.

— ქალაქ სტოკჰოლმს ამ ხანებში გარდაცვალებულმა მწერალმა ქალმა ფლიგარ კარლენმა მთელი თავისი სარჩო და ქონება საქველ-მოქმედო საქმეებს უანდერძა. უპსალის უნივერსიტეტს 10,000 კრონი შესწირა. ამდენივე ღარიბს სტუდენტებს, 10 ათასივე თავის მიწა-წყლის ღარიბს მეიჯზეებს უანდერძა და 20,000 კრონი სახალხო სკოლებს.

— გალიციის სასოფლო სკოლების მასწავლებლები ძლიერ გაჭირვებულნი არიან მოუსავლობის გამო. ამას წინად მასლოვეცში კრება მოახდინეს და გადასწყვიტეს, მთავრობას ვთხოვოთ, რაიმე შემწეობა აღმოგვიჩინოსო და, თუ ჩვენი თხოვნა არ შეიწყნარა, მაშინ თვით იმპერატორს მივმართოთო.

— ამერიკის გაზეთები ძლიერ აქებენ ახალგაზრდა არტისტს სალვინის, გამოჩენილის სალვინის შვილსა და ამბობენ, ახალგაზრდა არტისტი თავისს მამაზედ უფრო ნიჭიერიაო. ახალგაზრდა სალვინი ამასთანავე კარგად განათლებული და ნასწავლიცაა: მშვენიერად იცის ინგლისური, ფრანგული, გერმანული, იტალიური და ისპანიური ენები. ამ ჟამად ახალგაზრდა სალვინის ლონდონში მიელიან, სადაც მონაწილეობას მიიღებს ორს პიესაში: „სამი მუშკეტერ“-შ დიუმასში და ჟენნერის დრამაში: „დონ-სეზარ-დე-ბაზან“-ში. შემდეგ საფრანგეთისა და მთელს ევროპაში იმოგზაურებს და საუკეთესო თეატრებში ითამაშებს.

## წერილი რედაქციის მიმართ

ნება გვიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადოთ ძმებს ბესარიონ და გერონტი ლაზარეს ძეთ კალანდაძეთა და კონსტანტინე ჩითანის ძეს თავართქილაძეს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩვენდა ხიდისთავის სამრევლო სკოლას პირველმა ორმა 55 ცალი სხვა-და-სხვა საბავშო წიგნები: პატიოსანი ადამიანი 12, ბერლინის გარემოცვა 12, ჟანა-დარკ 12, აპპარატავანი გიორგი 12, შვილის აღზრდა 4, სამი ცელქი 1, მუნწი — 1, წყარო 1, ხოლო მესამემ 10 ცალი აპპარტავანი გიორგი.

მასწავლებელნი სკოლისა დიაკონი სერგი კალანდაძე, ნადასი კალანდაძე

12 თებერვალი.

## დეპეშა

20 თებერვალი

**პეტერბურგი.** განსაკუთრებულმა კომიტეტმა გადასცა სტატს-სეკრეტარს ოსტროვსკის ასი-ათას-ასი-ათასი მანათი: სიმბირსკისა, სარატოვისა და ტამბოვის გუბერნიებში ცხენების გამოსაკვებად. ამას გარდა, ცხენებისავე გამოსაკვებად სამარას გუბერნატორს გარდასცა 70,000 მანათი. საქველ-მოქმედოდ ბადრინისა, ეკატერინბურგისა და კამილლოვის მაზრეში პერმის გუბერნიის რწმუნებულს მიეცა კიდევ 32,000 მანათი. მიეცა კიდევ გუბერნატორებს: სარატოვისას — 100,000 ფუთი პური და 25,000 მან., კურსკისას — 60,000 ფუთი პური, ასტრახანისას — 15,000 მან. ტურგაისას — 3,000 მან., ხოლო დაუყოვნებლივ დახმარების აღმოსაჩენად ადგილობრივ პენზისა და კურსკის გუბერნიების რწმუნებულებს თითოს 50,000 მანათი.

განსაკუთრებულ კომიტეტის კასას შესწირა დედოფალმა ვირტემბერგისამ 10,000 მან. ამას გარდა, 12—18 თებერვალს იმავე კომიტეტმა შეწირულება მიიღო 35,500 მანათი.

დღეს გზათა სამინისტროში წარსდგნენ მოსამსახურენი ამ უწყებისანი სამინისტროს ახალის გამგებელის წინაშე. ამ დროს გამგებელმა სამინისტროსამ სთქვა: „ჩემის წინანდელის სამსახურის წყალობითვე ვიცნობ საქმეს აწ ჩემდა მონდობილ უწყებისას. მე ამისი კარგიცა და ცუდი მხარეც ვიცი. ეჭვი არ არის, მე ვეცდები გავაძლიერო კარგი მხარენი ამ საქმისა და აღმოვფხვრა ცუდი მხრენი. უკეთეს ღონის-ძიებად ამ შემთხვევაში მე მიმაჩნია ის, რომ ყოველთვის მხედველობაში ვიქონიო მხოლოდ საქმე და პირადობასა და სხვას ამისთანას თავი დავანებო. საერთო შრომის დროს მე თქვენ გთხოვთ პირდაპირ მითხრათ ხოლმე თქვენი აზრი და შეხედულობა. მე მზადა ვარ მოვისმინო და დავიჯერო თქვენი აზრი, თუ-კი დასაბუთებული იქნება საქმის ცოდნითა და გამოცდილებით. მაგრამ თუ ერთხელვე რამ გადასწყდება, მე სასტიკად მოვითხოვ მისს აღსრულებას. ყოველივე ეს შინაურს წყობილებას შეეხება საქმისას, ხოლო რაც შეეხება საზოგადო მიმართულებას საქმისას მე მხოლოდ ეს უნდა ვსთქვა: როგორც ყოველს სხვა უწყებაში, ისე აქაც, სუყველაფერი უნდა აღსრულდეს უმაღლესის ბრძანებისამებრ ხელმწიფე იმპერატორისა. ცოტაოდენიც, თუნდა უგანზრახულო დარღვევაც ამისა სასტიკს პასუხის გებას მოითხოვს“.

**ათინა.** საპოლიტიკო მოღვაწეებთან ბაასის დროს მეფემ განაცხადა, დელიანისი დაპირებული იყო, პალატას მოახსენებ საფინანსო ღონისძიებათ, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ბიუდჟეტის თანაბრობასაო, მაგრამ თამბაქოს მონოპოლიის შესახებ მის მიერ შემოწმებულმა შემოსავალ-გასავლის სხვა-და-სხვაობამ დაამტკიცა, რომ იმას ვერ შეუგნია ამ საგნის დიდი მნიშვნელობა და ამიტომ ვსთხოვე სამსახურიდგან გადადგომაო.

21 თებერვალი

**პარიჟი.** ლუბემ დეპუტატთა პალატაში წაიკითხა სამინისტრო დე-

კლარაცია, რომელშიაც მოხსენებულია: სამინისტრო მუდამ დარაჯად ედგება ყოველს სარესპუბლიკო კანონსა და განსაკუთრებით სამხედროსა და სკოლების კანონსაო. მინისტრ-პრეზიდენტის სიტყვით, კაბინეტი თავის მიერ დასახულის გზით ამზადებს განცალკევებას ეკკლესიისას სახელმწიფოსაგან და ამიტომ მტკიცედ დაიცავს კანონმდებლობას, დამყარებულს კონკორდატზე და იხელმძღვანელებს მისის ჭეშმარიტის აზრით. წევრნი სამღვდელოებისანი ვალდებულნი არიან დაემორჩილნენ საეროვნო კანონებს და უთუოდ განზე უდგნენ მითქმა-მოთქმისა და დასთა ბრძოლა. თუ კონკორდატზე დამყარებული კონონმდებლობა საკმარისად არ აღმოჩნდა, მაშინ კაბინეტი სამოქმედოდ პარლამენტს საჭირო ღონის-ძიებას გამოსთხოვს. დეკლარაციაში დამატებულია, პარლამენტმა საფრანგეთს ისეთი საეკონომიო წეს-წყობილება მიანიჭა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მიწადმოქმედებისა და მრეწველობის დაცვას და ტარიფთა თავისუფლებას და რომლის შეცვლაც მხოლოდ პარლამენტს შეუძლიან. დეკლარაციის ბოლოში იხსენიება ის კანონ-პროექტებიც, რომელიც პალატაშია წარდგენილი მუშათა შესახებ. დასასრულ დეკლარაცია ითხოვს ყველა რესპუბლიკელის ერთობას.

პარიჟი. პალატის კრებამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა სამინისტრო დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ. დეკლარაციას, გარდა პალატის ცენტრისა, ყველა ცივად მიეგება. რესპუბლიკელი რივე შეეკითხა სამინისტროს შესახებ მთავრობის პოლიტიკისა. რიბომა და ლუბემ განაცხადეს, რომ სამინისტრო არ არის შეკრული ვატიკანთან არც ერთის ვალდებულებით, ნაკისრით, წინა კაბინეტის მიერ, რომლის პოლიტიკაც ამ კაბინეტსაც მოსწონს. ამ სამინისტრომ პაპის ყურადღება მიაქცია მხოლოდ ეპისკოპოსთა მანიფესტაციებს და საარჩევანო კატეხიზმოსაო. პაპიმ აღკვეთქვა ამ კატეხიზმოების აკრძალვა. პალატამ უმეტესობით 341 ხმისა წინაღმდეგ 91-სა გადასწყვიტა, რომ მორიგს საქმეებს შევუდგეთო, რაიცა კაბინეტის მიმართ ნდობის გამოცხადებას ჰნიშნავს. სენატმა მოიწონა სამინისტროს დეკლარაცია.

პეტერბურგის ბირჟა, 18 თებერ.

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, | 05 | 8, | 08 | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161 | | 161³/₄ | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — | ,, | 1, | 17 | — | ,, |
| 5⁰/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | | — | ,, | — | ,, |
| —მეორისა . . . . | 226¹/₄ | | — | ,, | — | ,, |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 198¹/₄ | | — | ,, | 200¹/₂ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | | | | |
| 6⁰/₀. . . . . . | 102¹/₄ | | — | ,, | — | ,, |
| 5⁰/₀. . . . . . | 99¹/₄ | | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6⁰/₀. | 102¹/₄ | | — | ,, | — | ,, |
| 5⁰/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99, | 12 | — | ,, | — | ,, |

# ბალანსი

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა 1 იანვრისათვის 1892 წლისა

### აქტივი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასაში. . . . . | 59,889 | 41 | | |
| გირაოს ფურცლებად . . . . | 163,600 | — | | |
| კუპონების ახალ ფურცლებად . . | 54,120 | — | | |
| გასაუქმებელ გირავნობის ფურცელთა ძველ ტალონებად . . . . . | 1,238,600 | — | 1,516,209 | 41 |
| 2) მიმომდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო და კერძო ბანკებში | 521,930 | 49 | | |
| ბ) კორესპონდენტებთან . . . . | 273,754 | 04 | 795,684 | 53 |
| 3) მიბარებულობა: | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში . . . . . . | 264,605 | — | | |
| ბ) საწევრო ფული ტფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში. . . . . . . . | 60 | 57 | 264,665 | 57 |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 127,450 . . | 121,598 | — | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 108,850 . . . . . . . | 107,997 | 03 | | |
| გ) კორესპონდენტებთან 28,300 . | 29,241 | — | | |
| ⁰/₀ იმათი . . . . . . . | 2,315 | 80 | 261,151 | 83 |
| 5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 54¹/₂ წლით. | 345,100 | — | | |
| ბ) მამულის გირაოზე 43¹/₂ წლით. | 242,200 | — | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოდ 27¹/₂ წლით . . . . . . | 178,200 | — | 765,500 | — |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზედ გირაოდ 18 წლითა და 7 თთვით . | | | | |
| 6) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზედ 61 წლით და 8 თთვით . . . . . | 150,400 | — | | |
| ბ) მამულის გირაოზედ 48 წლით და 8 თთვით . . . . . . | 6,400 | — | | |
| გ) მამულის გირაოზედ 43¹/₂ წლით. | 1,561,500 | — | | |
| დ) ქალაქის უძრავ ქონებაზედ გირაოდ 36 წლით და 4 თთვით . | 1,070,700 | — | | |
| ე) ქალაქის უძრავს ქონებაზედ გირაოდ 27¹/₂ წლით. . . . . | 5,287,300 | — | 8,076,300 | — |
| 7) სესხნი, გასაცემად დანიშნულნი . | — | — | 186,600 | — |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | | |
| ა) დიდ-ვადიანს სესხზე . . . . | 277,236 | 15 | | |
| ბ) მცირე-ვადიანს სესხზე. . . . | 6,260 | 31 | 283,496 | 46 |
| 9) ვადა-გასული შემოსატანი ფული . | — | — | 43,037 | 85 |
| 10) მცირე-ვადიანი სესხნი . . . . | — | — | 243,308 | — |
| 11) საკომისიოდ მიღებული გირავნობის ფურცელი 299,300. . . . | — | — | 271,995 | — |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი . . . . | — | — | 48,700 | 98 |
| 13) ვადამდე გარდახდილი კუპონები . | — | — | — | — |
| 14) 5⁰/₀ სახელმწიფო გარდასახადი კუპონებისა . . . . . . . | — | — | — | — |
| 15) ხარჯი ბანკის-მომართვამოწყობისათვის . . . . . . . . | — | — | 11,490 | 60 |
| 16) ტფილისის სათავად-აზნაურო და წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის ხარჯი, რომელიც დაბრუნებულ უნდა იქმნეს საზოგადო საჭიროების თანხიდგან . . . . | — | — | 23,767 | 61 |
| ბალანსი. | — | — | 12,791,907 | 84 |

### პასივი

| | მან. | კ. | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . . | 187,511 | 03 | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისთვის . . | 168,715 | 31 | 356,226 | 34 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წლის წესდ. ძალით. | 28,355 | 30 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა. . . . . . | 77,024 | 90 | 105,380 | 20 |
| 3) თანხა საზოგადო საჭიროებისათვის: | | | | |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია. | — | — | 131 | — |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . | — | — | 747 | 89 |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლით წესდების ძალით: | | | | |
| 54¹/₂ წლით . . . . . . | 384,700 | — | | |
| 43¹/₂ „ . . . . . . | 202,600 | — | | |
| 27¹/₂ „ . . . . . . | 178,200 | — | 765,500 | — |
| 18 წ. და 7 თთვით . . . | | | | |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| 6⁰/₀—43¹/₂ წლით . . . . . | 1,535,800 | — | | |
| 6⁰/₀—27¹/₂ წლით . . . . . | 5,261,600 | — | | |
| 5⁰/₀—61 წ. და 8 თთვით . . . | 150,400 | — | | |
| 5⁰/₀—48 წ. და 8 თთვით . . . | 6,400 | — | | |
| 5⁰/₀—36 წ. და 4 თთვით . . . | 1,070,700 | — | 9,024,900 | — |
| 8) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არავალდებულის თავნის გადახდისათვის. | — | — | 51,400 | — |
| 9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი . . . . . . . | — | — | 186,600 | — |
| 10) გირაოს ფურცლები მობარებულნი. | — | — | 10,000 | — |
| 11) ვადამდე მოსასპ. დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით. . . . | 104,800 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით . . . . . | 147,319 | 61 | 252,119 | 61 |
| 12) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები, ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად: | | | | |
| 6⁰/₀ . . . . . . | 921,000 | — | | |
| 5⁰/₀ . . . . . . | 3,900 | — | 924,900 | — |
| 13) გირაოს ფურც. გადასახ. კუპონები: | | | | |
| 6⁰/₀ . . . . . . | 265,603 | 60 | | |
| 5⁰/₀ . . . . . . | 22,850 | — | 288,453 | 60 |
| 14) სარგებლის ფონდი: | | | | |
| 6⁰/₀ . . . . . . | 226,887 | — | | |
| 5⁰/₀ . . . . . . | 30,687 | 50 | 257,574 | 50 |
| 15) თავ. გასასტუმ. ფონდი არა ურთიერთ შორის თავდებ. გაცემულ სესხისა: | | | | |
| 54¹/₂ წლით . . . . . | 873 | 72 | | |
| 43¹/₂ „ . . . . . | 1,559 | 63 | | |
| 27¹/₂ „ . . . . . | 5,084 | 61 | 7,517 | 96 |
| 18 წ. და 7 თთვით . . . | | | | |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| 6⁰/₀—43¹/₂ წლით . . . . . | 5,774 | 65 | | |
| 6⁰/₀—27¹/₂ წლით . . . . . | 59,240 | 16 | | |
| 5⁰/₀—61 წ. და 8 თთვით . . . | 280 | 96 | | |
| 5⁰/₀—48 წ. და 8 თთვით . . . | 32 | 39 | | |
| 5⁰/₀—36 წ. და 4 თთვით . . . | 7,168 | 28 | 72,496 | 44 |
| 17) თავნის გასასტ. ფონდი არასავალდებულო გადასახ. იმ გირაოს ფურც. რომელნიც ურთიერთ შორის თავდ. პირობით არიან გამოცემულნი . . | — | — | 42 | 72 |
| 18) გადამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით . . . . . | 32,935 | 08 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით. . . . | 48,800 | — | | |
| გ) სახელმწიფო სარგებ. ქაღალდებით | 1,450 | — | 83,185 | 08 |
| 19) კორრესპონდენტები: | | | | |
| 20) მსესხებელნი . . . . . . . | — | — | 7,467 | 06 |
| 21) 5⁰/₀ სახელმწიფო გადასახ. კუპონ. | — | — | 325 | 07 |
| 22) კუპონის ახალი შესაცვლელი ფურც. | 54,120 | — | — | |
| 23) ძველი გასაუქმებელი ტალონები. . | 1,238,600 | — | 1,292,720 | — |
| 24) 3⁰/₀ გადასახადი წმინდა მოგებიდგან. | — | — | 1,875 | 97 |
| 25) ნაღდი მოგება იყო . . . . . | — | — | 102,344 | 40 |
| ბალანსი. | — | — | 12,791,907 | 84 |

თავმჯდომარე ბანკის მმართველობისა თავ. ი. გ. ჭავჭავაძე

Дозв. ценз. Тифлисъ. 21-го Февраля 1892 г.     სტამბა მ. შარაძისა.     რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.